

# 2020 წელს თბილისის ბიუჯეტი მიღიარდ 400 მილიონამდე დარს შეადგენს



თბილისის საკრებულომ დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. ბიუჯეტის დამტკიცებას წინ უძღოდა თბილისის მერის ანგარიში, რომლის წარდგენისას ვახა კარაძემ დეტალურად ისაუბრა ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, ტრანსპორტის, გარემოს

დაცვის, განათლებისა და ახადგაზრდობის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე.

როგორც დედაქალაქის მერმა აღნიშნა, მომავალი წლის ბიუჯეტიც პრიორიტეტულ მიმართულებებს და დედაქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას მოხმარდება. ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრები საკრებულოს წევრების წინაშე თბილისის ვიცე-მერმა ირაკლი ხმარაძემ წარადგინა.

ირაკლი ხმარაძის განცხადებით, ბიუჯეტი მიღიარდ 20 მლნ დარია, თუმცა მასში არ არის ასახული რამდენიმე კომპონენტი.

*„ეს არის ნაშთი, რომლის გადატანა ერთი წლიდან მეორეში ყოველთვის ხდება და რომელიც, დაახლოებით, 140 მლნ დარი იქნება. ასევე, 256 მილიონი დარი, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ ავტობუსების შესაძენად გამოყოფილი სესხია“, – განაცხადა ირაკლი ხმარაძემ.*

ვიცე-მერის განმარტებით, თბილისის 2020 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების ღირებულების ჯამი დაახლოებით, მიღიარდ 400 მილიონ დარს აღწევს.

ირაკლი ხმარაძის განცხადებით მიღიარდ 20-მილიონიანი ბიუჯეტის პროექტიდან, დაახლოებით, 980 მილიონი დარი თბილისის საკუთარი შემოსავლებია, რომელშიც შედის გადასახადები, ქონების გადასახადი და დღგ; სპეციალური ტრანსფერი – 90 მლნ დარი და ასევე, პრივატიზაცია, რომელიც 40 მლნ დარს შეადგენს.

*„დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა 2019 წლის გადაჭარბებული შემოსავლებით დამატებით, 100 ახალი ავტობუსის შესყიდვა მოახერხა. ასევე, შეთანხმებას მივალწინეთ სამარშრუტო ტაქსების კომპანიასთან, რათა ტარიფის ზრდის გარეშე მიკროავტობუსების ჩანაცვლების პროგრამის დაწყება მომხდარიყო. აღნიშნული პროგრამისთვის 30 მილიონი დარია გათვარისწინებული, რომლითაც 300 ერთეული მიკროავტობუსის შესყიდვა მოხდება. ეს თანხები მთლიანად შეტანილია თბილისის სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალში და უახლოეს მომავალში ტენდერი გამოცხადდება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ თანხები უკვე მობიღიბებულია დიღოს ნაგავსაყრედზე გაშვებების მოწყობისთვის. ტენდერი 20 იანვარს სრულდება, თუმცა ეს არ იქნება მხოლოდ 2020 წლის პროექტი. გაშვებების მშენებლობა 2020-2021 წლებში გაგრძელდება და ბიუჯეტის ფორმირებაც იმის მიხედვით მოხდება. შესაბამის სამუშაოებს „თბილისერვის ჯგუფი“ განახორციელებს“, – განაცხადა ირაკლი ხმარაძემ.*

რაც შეეხება 2020 წლის ბიუჯეტით გათვარისწინებულ ძირითად ინფრასტრუქტურულ პროექტებს, თბილისის ვიცე-მერის თქმით, მომავალ წელს იგეგმება ორბელიანის მოედანზე რამდენიმე მისამართის რეაბილიტაციის დასრულება; გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია; ორბელიანის მოედნის მიმდებარედ, ჯორჯაძის, თაბუკაშვილისა და ფურცვერაძის ქუჩების ნაწილის რეაბილიტაცია; მედიქიშვილის ქუჩაზე მდებარე ისტორიული ძეგლის სტატუსის მქონე ორი შენობის რეაბილიტაცია; მოსწავდე-ახარგაზრდობის ეროვნული სასახლის რეაბილიტაციის დაწყება; დედაენისა და 9 მარტის ბაღების სრული რეაბილიტაცია, რომლისთვისაც 17 მლნ დარია გათვარისწინებული.

ირაკლი ხმარაძის განცხადებით, მომავალი წლისთვის მნიშვნელოვანია ასევე, ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტების გაგრძელება.

*„აღსაზრდელების უსაფრთხოების მიზნით, სამხარაურის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა შესაბამისი სამუშაოები და გამოვლენილია ის შენობები, სადაც რეაბილიტაცია უნდა ჩატარდეს. მოგიერთ შემთხვევაში, ბავშვების შენობიდან გაყვანაც მოგვიწია. აქედან გამომდინარე, 2020 წელს დაახლოებით, 24 მილიონ დარამდვა გამოყოფილი, რათა 26 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია მოხდეს. მოგ შემთხვევაში, უკვე არსებული ბაღის დემონტაჟი და ახალი, უსაფრთხო შენობის აშენებაა გათვარისწინებული“, – აღნიშნა ირაკლი ხმარაძემ.*

მისივე თქმით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქარაქო სამსახურის მიმართულებით, იგეგმება მუხრან მაჭარარანის ქუჩისა და მარშად გეროვანის გამზირის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის დასრულება; ილია ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის დასრულება; გრდანის რაიონში, ვეკუასა და ხიზანიშვილის ქუჩების რეაბილიტაციის დასრულება; ქეთევან წამებულის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშავერას გამზირების რეაბილიტაცია; უნივერსიტეტის მაღრივი კორპუსიდან წყნეთის გზატკეცილამდე არსებული ხიდის მშენებლობის დაწყება; ვეფხი და მოყმის ძეგლთან ახალი სატრანსპორტო კვანძის მშენებლობა.

ვიცე-მერის განცხადებით, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით, განათლების, სპორტისა და კურტურის მიმართულებით, დაგეგმილია ვარკეთილისა და დიდი დიღმის მურტიფუნქციური კომპლექსების მშენებლობის დასრულება; დიღოს დასახლებაში, სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე საცურაო აუზის მშენებლობა; მეტროს ვაგონების მოდერნიზაციის პროექტის გაგრძელება, რომლისთვისაც დაახლოებით, 12 მღნ დარია გამოყოფილი; EBRD-ის დაფინანსებით, მუნიციპალიტეტი დამატებით, მეტროს 10 ახარ მატარებელს შეისყიდის; 12 მღნ დარი თემქის ხევის, ვაკის პარკისა და გრდანის ტბის მიმდებარე ტერიტორიის პროექტირება-რეაბილიტაციისთვის გამოიყოფა.